

ყოველკვირეული განახლება
მთავარი ეკონომისტისგან




თიბისი კაპიტალი

ყოველკვირეული
განახლება
მთავარი ეკონომისტისგან
06.12.2021

www.tbccapital.ge


საქსტატის წინასწარი მონაცემების მიხედვით, ოქტომბერში რეალური მშპ-ის ზრდამ, მოლოდინების შესაბამისად, წ/წ 6.9% შეადგინა. ეკონომიკური ზრდის აღნიშნული დინამიკა თანხვედრაშია ჩვენს პროგნოზთან, რომლის მიხედვითაც 2021 წელს რეალური მშპ-ის ზრდა 10.0%-ზე მაღალი იქნება. სექტორების ჭრილში, თითქმის ყველა მიმართულებით გაზრდილი აქტივობა დაფიქსირდა, გარდა მშენებლობისა, რაც სავარაუდოდ ფისკალური ხარჯების შემცირებით იყო გამოწვეული. ამავე დროს, საგარეო შემოდინებების კუთხით ოქტომბერი ძლიერი თვე იყო, თუმცა იმპორტისა და დაკრედიტების ზრდა შედარებით ზომიერი აღმოჩნდა.

რეალური მშპ-ის ზრდა (%)




შენიშვნა: 2021/2019 ზრდის მაჩვენებლები განგარიშებულია 2021/2020-ისა და 2020/2019-ის შესაბამის მაჩვენებლებზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანია, რომ 2020/2019 წლის ზრდის წინასწარი შეფასებები მნიშვნელოვნად გადაიხედა, თუმცა მხოლოდ კვარტალურ, და არა თვიურ, ჭრილში. მიუხედავად ამისა, წინასწარი შეფასებები მაინც ასახავს ზრდის ყოველთვიურ მიხედვებით დინამიკას.
წყარო: საქსტატი

რეალური მშპ-ის ზრდა (წ/წ, %)




წყარო: საქსტატი

რეალური მშპ-ის ზრდა და დღგ-ის გადახდელ საწარმოთა ბრუნვა (წ/წ, %)



წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო


ზრდის ფაქტორები*, 2021/2020 (%)



*ექსპორტი, იმპორტი და ფულადი გზავნილები დათვლილია აშშ დოლარში, სესხები გაცვლითი კურსით შესწორებულია ლარში, ხოლო ფისკალური დეფიციტი განგარიშებულია ლარში

წყარო: საქსტატი, სებ, ფინანსთა სამინისტრო

ზრდის ფაქტორები*, 2021/2019 (%)




*ექსპორტი, იმპორტი და ფულადი გზავნილები დათვლილია აშშ დოლარში, სესხები გაცვლითი კურსით შესწორებულია ლარში, ხოლო ფისკალური დეფიციტი განგარიშებულია ლარში

წყარო: საქსტატი, სებ, ფინანსთა სამინისტრო


გასულ კვირაში გამოქვეყნებული ნოემბრის ინფლაციის მაჩვენებელიც ასევე მოლოდინებთან შესაბამისი იყო. ოქტომბერში სეზონურად შესწორებული თ/თ ინფლაციის აჩქარების შემდეგ, ნოემბერში ფასების ზრდა 3%-იან სამიზნე მაჩვენებელზე დაბალი იყო. სამომხმარებლო ფასების აღნიშნული დინამიკა, ლარის ბოლოდროინდელ გამყარებასა და საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასების შედარებით შემცირებასთან ერთად სამომავლოდ დაბალი ინფლაციის არგუმენტია. იმ შემთხვევაში, თუ ლარი მკვეთრად არ გაუფასურდება, საერთაშორისო ბაზრებზე ბრენტის ნავთობის ფასი 85 აშშ დოლარის ფარგლებში იქნება და მომავალი წლის ზრდა, ჩვენი პროგნოზით გათვალისწინებული მსგავსად, 6.0%-ს შეადგენს, 2022 წლის ბოლოს ინფლაცია სამიზნეზე დაბალ ნიშნულს გაუტოლდება - განახლებული პროგნოზი [წინა შეფასებაზე](#) დაბალია, რაც უფრო ძლიერმა ლარმა განაპირობა.

წლიური და სეზონურად შესწორებული განვლიერებული ინფლაცია (ია6-10 = 100)




შენიშვნა: REER-ის ზრდა ნიშნავს გაუფასურებას, დეკემბრის მნიშვნელობა 3 დეკემბრის მდგომარეობით არის დათვლილი
წყარო: სებ, საქსტატი

შერჩეული სასაქონლო პროდუქტების ფასების ინდექსები (ია6-20=100, აშშ დოლარი)




შენიშვნა: 3-დეკ-2021-ის მდგომარეობით
წყარო: CME, ICE, FAO

წლიური ინფლაცია და ჯგუფების კონსტრიბუცია (კპ), %



წყარო: საქსტატი


ლირის გაუფასურების პრონოზოზი



შენიშვნა: 3-დეკ-2021-ის მდგომარეობით
წყარო: Bloomberg, TCMB


თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დაბალი ინფლაცია თავის მხრივ სუსტი ლარის არგუმენტია, ლირის დამატებითი გაუფასურება და კორონავირუსის ახალი ომიკრონ შტამის გამოჩენა ლარის კორექციის გაზრდილ ალბათობაზე მიუთითებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტებიდან მხოლოდ ლირის გაუფასურებას არ არის აუცილებელი რომ ლარის გაუფასურება მოჰყვეს.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორების სავალუტო კურსები აშშ დოლართან (1-სექ-2021 = 100)




შენიშვნა: 3-დეკ-2021-ის მდგომარეობით
წყარო: სებ

ლარის რეალური გაცვლითი კურსები (ია6-14 = 100)




შენიშვნა: 3-დეკ-2021-ის მდგომარეობით, ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას
წყარო: სებ, შესაბამისი სტატისტიკის ოფისები, თიბისი კაპიტალი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (კროსინტული მადახრა პერიოდის საშუალოდან)



შენიშვნა: 3-დეკ მდგომარეობით, ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას
წყარო: სებ, შესაბამისი სტატისტიკის ოფისები, თიბისი კაპიტალი

ლარის არსებული და დაანგარიშებული რეალური ეფექტური კურსი (REER)



შენიშვნა: 3-დეკ მდგომარეობით
წყარო: სებ, მსოფლიო ბანკი

მიმდინარე კვირის ანონსი:

- დეკ 6 – სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით, ნოემბერი 2021;
- დეკ 7 – ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები, ნოემბერი 2021;
- დეკ 8 – პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2021 წლის III კვარტალი, წინასწარი;
- დეკ 8 – მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი;
- დეკ 10 – ცენტრალური ბანკის მიმოხილვა, ნოემბერი 2021.



თიბისი კაპიტალი

Sophia
30%

Grace
20%

Donut Chart

Andy

Olise

Daniel